პროლეტარეტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 270 (10664) | სამშაბათი, 20 ნოემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ერთობლივი განცხადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით (1-ლი გვერდი).

დარბაზობა კრემლში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა. ამხანაგ ვლადისლავ გომულკას სიტყვა (მე-2 გვერდი).

დარბაზობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში. ამხანაგ ვლადისლავ გომულკას სიტყვა. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა (მე-2 და მე-3 გვერდი).

მოსკოვიდან გაემგზავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია (მე-3 გვერდი).

საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ კ. კ. როკოსოვსკის საბჭოთა კავშირში დაბრუნებისათვის (მე-3 გვერდი).

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო ეგვიპტეში [illegible] რისო დაძაბულობის შენელების საკითხზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ერთობლივი განცხადება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით

1956 წლის 15-18 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა (დელეგაციის მეთაური), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებმა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილეებმა ა. ი. მიკოიანმა და მ. ზ. საბაროვმა.

პოლონეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზავადსკიმ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ სტეფან ენდრიხოვსკიმ.

გარდა ამისა, მოლაპარაკებას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, სსრ კავშირის მინისტრები — ბ. პ. ბეშჩევი, ა. ა. ზვერევი, ი. გ. კაბანოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. კ. პონომარენკო, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელშეკრულებო-სამართლის განყოფილების გამგე გ. ი. ტუნკინი. პოლონეთის მხრივ — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ევგენი შირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვიტოლდ ტრომპჩინსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ელჩი მარია ვერნა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს გენერალური დირექტორი ჰენრიკ კოტლიცკი.

I.

შეხვედრებმა და მოლაპარაკებამ, რაც მიმდინარეობდა გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში, ურთიერთგაგებისა და გულახდილობის სულისკვეთებით, საშუალება მისცა დელეგაციებს მოეხდინათ აზრთა ნაყოფიერი გაზიარება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

დელეგაციების მოლაპარაკებამ და აზრთა გაზიარებამ გამოავლინა ორივე მხარის სურვილი, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის და ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა ემყარებოდეს ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინურ პრინციპებს, აგრეთვე ცხადყო სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის შეხედულებათა მსგავსება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ძირითადი პრობლემების შეფასებაში.

ორივე დელეგაციას მიაჩნია, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს აგრესიული წრეები ცდილობენ ჩაფუშონ საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელება, რაც მიღწეული იყო ამ უკანასკნელ წლებში. ამ პოლიტიკის გამოხატულებაა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის თავდასხმა ეგვიპტეზე, რომელიც მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდა კოლონიალიზმის უღლისაგან და ცდილობს განამტკიცოს თავისი თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა.

ორივე დელეგაცია აცხადებს, რომ აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ არაფრით არ შეიძლება გამართლებულ იქნას. ისინი გმობენ ამ თავდასხმას, რომელსაც მოჰყვა დიდძალი მსხვერპლი და ზარალი და რომელმაც მწყობრიდან გამოიყვანა სუეცის არხი, საერთაშორისო ნაოსნობისათვის, მათ შორის სსრ კავშირისა და პოლონეთისთვის ესოდენ დიდმნიშვნელოვანი, და ამასთან გაამწვავა ვითარება ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

ორივე დელეგაცია აცხადებს, რომ სახელმწიფოებმა, რომლებმაც გააჩაღეს ომი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესაბამისად უნდა გაიყვანონ ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან. საბჭოთა კავშირი და პოლონეთი ყოველი ღონისძიებით დაუჭერენ მხარს ეგვიპტის სამართლიან მოთხოვნებს.

ორივე დელეგაციას არანორმალურად მიაჩნია მდგომარეობა, როდესაც ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ზოგიერთი ქვეყნის იმპერიალისტური წრეების მიზეზით ჯერ კიდევ მოკლებულია თავის კანონიერ ადგილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რაც ხელს უშლის ბევრი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრას. საბჭოთა კავშირი და პოლონეთი გააკეთებენ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რათა მიაღწიონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მიაჩნიათ რა ეს იმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გახდეს საყოველთაო მშვიდობის დაცვის ეფექტიანი საერთაშორისო ინსტრუმენტი.

ორივე დელეგაციას მიაჩნია, რომ ახლანდელ გამწვავებულ საერთაშორისო ვითარებაში ყველა სახელმწიფომ და უწინარეს ყოვლისა დიდმა სახელმწიფოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა მიაღწიონ შეთანხმებას შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, აღმოსავლეთის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ, გერმანიაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების არსებითად შემცირების შესახებ. მხარეებს მიაჩნიათ, რომ ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის აკრძალვა იქნებოდა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებასა და სახელმწიფოებს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნას. განიარაღების პრობლემაზე შეთანხმების მიღწევა, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა აგრეთვე საჭირო პირობების შექმნას იმისათვის, რომ გადაიჭრას დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის გერმანიის პრობლემა და ევროპის კოლექტიური უშიშროების პრობლემა, რითაც დიდად დაინტერესებული არიან არა მარტო საბჭოთა კავშირი და პოლონეთი, არამედ აგრეთვე ევროპის ყველა ხალხი.

ორივე დელეგაცია აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი და პოლონეთი ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მიაღწიონ წარმატებას განიარაღების პრობლემის გადაჭრაში ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

დელეგაციებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი უნგრეთის ამბების საკითხზე. ორივე დელეგაცია გამოთქვამს რწმენას, რომ უნგრეთის მუშათა კლასსა და მთელ უნგრელ ხალხს აღმოაჩნდებათ საკმაო ძალა, რათა დაიცვან სახალხო-დემოკრატიული წყობილების მონაპოვარნი. ორივე მხარე დახმარებას გაუწევს რევოლუციურ მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომლის პროგრამა, გმობს რა რაკოშის წინანდელი მთავრობის პოლიტიკის მავნე შეცდომებს, მიზნად ისახავს სოციალისტური დემოკრატიის განვითარებას და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის განმტკიცებას სრული თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე. დელეგაციებს მიაჩნიათ, რომ ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო უნგრეთის მიმართ, არ ისახავს მიზნად უნგრელი ხალხისათვის დახმარების გაწევას, არამედ მიმართულია იმისაკენ, რომ ჩამოაშოროს ხალხთა ყურადღება აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ.

II.

მეგობრული მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე დელეგაციამ საფუძვლიანად განიხილა და გაარჩია ყველა მხარე საბჭოთა და პოლონეთის სახელმწიფოებს შორის ამჟამად შექმნილი ურთიერთობისა.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციას საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ამ დეკლარაციაში გამოთქმული პრინციპები შეესაბამება გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ საკითხებზე მიიღო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა, და პოლონეთის მთავრობის პოლიტიკას. მხარეებმა მოლაპარაკების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას და გამოთქვეს რწმენა, რომ ურღვევი კავშირი და ძმური მეგობრობა სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის გაფართოვდება და განმტკიცდება, განვითარდება რა სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. საბჭოთა კავშირ-პოლონეთის კავშირი, რომლითაც თანაბრად არიან დაინტერესებული როგორც საბჭოთა, ისე პოლონელი ხალხები, მათი უშიშროების საიმედო გარანტიაა. ეს კავშირი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ოდერსა და ნოისეზე მისი საზღვრის — მშვიდობის საზღვრის ურღვევობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

მხარეები გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის ზემოაღნიშნული პრინციპების თანმიმდევრული რეალიზაცია ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს კავშირის შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური ბანაკის ერთიანობისა და ევროპის მშვიდობის განმტკიცებას.

III.

მოლაპარაკების დროს ყოველმხრივ განიხილეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობის საკითხები საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის დეკლარაციის მიხედვით. ორივე მხარემ განაცხადა, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განავითაროონ და განამტკიცონ ორ ქვეყანას შორის ეკონომიური თანამშრომლობა თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობისა და ძმური ურთიერთდახმარების საფუძველზე.

მოლაპარაკების მსვლელობაში გამოირკვა, რომ მხარეებს შორის არის წარსული წლების ზოგიერთი მოუწესრიგებელი ფინანსური ანგარიშსწორება.

ორივე მხარე ურთიერთ ინტერესების შესაბამისად შეთანხმდა დაფარულად ჩათვალონ იმ კრედიტების გამოყენებული თანხების პოლონეთის დავალიანება 1956 წლის I ნოემბრისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მისცა პოლონეთს, პოლონეთის მიერ სსრ კავშირისათვის 1945-1953 წლებში 1945 წლის 16 აგვისტოს შეთანხმების საფუძველზე მიწოდებული ქვანახშირის სრული ღირებულების ასანაზღაურებლად. მიღწეულ იქნა აგრეთვე შეთანხმება სარკინიგზო ტვირთზიდვის, არასავაჭრო გადასახდელთა ფინანსური ანგარიშსწორების მოწესრიგებაზე და სხვ.

სსრ კავშირის მთავრობა თანახმაა მიაწოდოს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას 1957 წელს 1.400 ათასი ტონა მარცვლეული. აღნიშნული მარცვლეული მიწოდებულ იქნება კრედიტით.

საბჭოთა მთავრობა აგრეთვე დათანხმდა მისცეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას გრძელვადიანი კრედიტი 700 მილიონი მანეთის ოდენობით იმ საქონლის ასანაზღაურებლად, რომელსაც საბჭოთა კავშირი მიაწვდის პოლონეთს ორივე მხარეს შორის შეთანხმებული სიით.

IV.

ორივე მხარემ განიხილა პოლონეთის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების ნაწილების დროებით ყოფნასთან დაკავშირებული საკითხები.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ დღემდე არ არის მიღწეული შეთანხმებული გადაწყვეტილებანი, რომლებიც ევროპის სახელმწიფოებს საკმარის გარანტიებს აძლევდნენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ. ის გარემოება, რომ რევანშისტული ძალები მუდამ უარყოფენ ევროპის სახელმწიფოთა შორის და უწინარეს ყოვლისა პოლონეთის დაწესებული და არსებული დასავლეთი საზღვრის სისწორეს, აგრეთვე არსებითი მიზეზია, რომელიც აძნელებს ევროპაში ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ორივე მხარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს ვითარება, ისევე როგორც არსებული საერთაშორისო მდგომარეობა იმას იწვევს, რომ საბჭოთა ჯარების ნაწილების დროებითი ყოფნა პოლონეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მიზანშეწონილია, რაც აგრეთვე დაკავშირებულია იმის საჭიროებასთან, რომ საბჭოთა ჯარები იმყოფებოდნენ გერმანიაში საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა საფუძველზე.

დადგენილია, რომ ორივე მხარე საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების შესაბამისად გამართავს კონსულტაციებს ერთმანეთთან საბჭოთა ჯარის ნაწილების პოლონეთის ტერიტორიაზე ყოფნის, მათი რიცხვისა და შემადგენლობის საკითხებზე.

ამავე დროს ორივე მხარე აღიარებს შემდეგ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ პოლონეთის ტერიტორიაზე ამ ნაწილების სტატუსს:

პოლონეთში საბჭოთა ჯარების დროებითი ყოფნა ვერაფერში ვერ შეეხება პოლონეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს და ვერ გამოიწვევს მათს ჩარევას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში;

საბჭოთა ჯარების დისლოკაციას და რიცხვს განსაზღვრავენ ორი მხარის სპეციალური შეთანხმებანი;

საბჭოთა ჯარების ნაწილების გადაყვან-გადმოყვანისათვის მათი დისლოკაციის ადგილებს გარეთ საჭიროა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ან პოლონეთის ხელისუფლების სხვა კომპეტენტური ორგანოების თანხმობა; პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარის ნაწილები და მათი პირადი შემადგენლობა ოჯახებითურთ მოვალენი არიან პატივი სცენ და დაიცვან პოლონეთის კანონმდებლობის განკარგულებანი. პოლონეთში განლაგებული საბჭოთა ჯარის ნაწილების პერსონალის მიმართ პოლონეთისა და საბჭოთა იურისდიქციის ფარგლები დაწესდება სპეციალური შეთანხმებით;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების გადაყვან-გადმოყვანის ვადას, გზებს და მათი სატრანზიტო გადასვლის წესს ადგენენ ორივე მხარის გარკვეული შეთანხმებანი.

შესაბამისი შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა ჯარების უფლებრივ სტატუსს პოლონეთის ტერიტორიაზე მათი დროებითი განლაგების პერიოდში, დაიდება უახლოეს ხანში.

V.

ხელმძღვანელობენ რა პოლონეთ-საბჭოთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისადმი მისწრაფებით, დელეგაციები შეთანხმდნენ პრინციპების შესახებ, რომელთა საფუძველზე საბჭოთა კავშირის შესაბამისი ორგანოები ხელს შეუწყობენ პოლონელების შემდგომ რეპატრიაციას, რომელთაც ოჯახები ჰყავთ პოლონეთში, ისევე როგორც პოლონეთში იმათ დაბრუნებას, ვინც მათგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვერ ისარგებლა რეპატრიაციის უფლებით საბჭოთა კავშირ-პოლონეთის 1945 წლის შეთანხმების საფუძველზე. საბჭოთა დელეგაციამ განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განსახილველად წარედგინება წინადადება საპყრობილეებში მყოფ პირთა ვადამდე განთავისუფლებისა და რეპატრიაციის ანდა პოლონეთის ორგანოებისათვის გადაცემის შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ უახლოეს ხანში მოხდება ორივე მხარის კომპეტენტური ორგანოების წარმომადგენელთა შეხვედრა რეპატრიაციის ვადისა და წესის შესათანხმებლად.

მოლაპარაკების მსვლელობაში აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში წარმატებით ვითარდებოდა კულტურული თანამშრომლობა სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის. 1956 წლის 30 ივნისს ვარშავაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას. საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მჭიდრო კულტურული თანამშრომლობა კვლავაც ეფექტიანად შეუწყობს ხელს საბჭოთა და პოლონელ ხალხებს შორის გულწრფელი ძმური მეგობრობის განმტკიცებას.

ორივე მხარე ყოველ ღონეს იხმარს, რათა სათანადო ინფორმაცია მიაწოდონ თავიანთ ხალხებს, თუ რა ღონისძიებანი ისახება და ხორციელდება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ცხოვრების პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა სფეროებში, ინფორმაცია სოციალისტური მშენებლობის ურთიერთმიღწევების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობისა და ურთიერთგაგების შემდგომ გაღრმავებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ აზრთა თვალთა და გულახდილი გაზიარება, რაც მოლაპარაკების დროს მოხდა, ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას შორის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ორივე ქვეყნის ხალხების საკეთილდღეოდ და ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ნ. ს. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ა. ბულგანინი

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი
ვლადისლავ გომულკა

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
იუზეფ ცირანკევიჩი

მოსკოვი, 1956 წლის 18 ნოემბერი.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ერთობლივ განცხადებას

18 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შორის მოლაპარაკებასთან დაკავშირებით.

განცხადებას ხელი მოაწერეს — საბჭოთა კავშირის მხრივ დელეგაციის მეთაურმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, პოლონეთის მხრივ — დელეგაციის მეთაურმა — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა.

ხელმოწერას დაესწრნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიკოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ი. ბულგანინი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ნ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის მინისტრები ბ. პ. ბეშჩევი, ა. გ. ზვერევი, ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. კ. პონომარენკო, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. ხარლამოვი.

პოლონეთის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზავადსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე სტეფან ენდრიხოვსკი, აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ევგენი შირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ი. ბანაკი, ამხანაგები მარია ვერნა, ვიტოლდ ტრომპჩინსკი, ჰენრიკ კოტლიცკი, ედვარდ ბარტოლი და სხვა ოფიციალური პირები.

(საკდესი).

დარბაზობა კრემლში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

17 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა დარბაზობა გამართეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზაგადსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი, ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე სტეფან ენდრიხოვსკი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ჰ. ზავენიაგინი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. კუჩერენკო, ვ. ა. მალიშევი, ვ. ვ. მაცკევიჩი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. პ. ტარასოვი და ი. ს. კოდიცა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე პ. ჰ. ლობანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარე ო. ვ. კუსინენი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, გენერლები და ადმირალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, მოსკოვის საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები.

დამსწრეთა შორის იყვნენ სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლები სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ი. ბანაკის მეთაურობით, პოლონეთის დელეგაციის თანმხლებნი ამხანაგები ვ. ტრომპჩინსკი, ე. შირი, მ. ვერნა, ე. ბარტოლი და სხვები, აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების საელჩოთა მეთაურები.

დარბაზობაზე მოვიდა სსრ კავშირში მყოფი სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დელეგაცია ამხანაგ პინ ჯენის მეთაურობით.

დარბაზობის დროს პოლონეთის დელეგაციის წევრებს სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!
ძვირფასო ამხანაგო გომულკა!

პოლონეთისა და საბჭოთა დელეგაციების მოლაპარაკება, რომელიც წარმატებით მთავრდება, უაღრესად მეგობრული და მეტად ნაყოფიერი იყო. ეს იყო სიტყვის სრული მნიშვნელობით საქმიანი შეხვედრა მეგობრებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს განიხილონ ორივე ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი პარტიებისათვის სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კვლავაც განვავითაროთ ჩვენი მეგობრობა და თანამშრომლობა, ვხელმძღვანელობთ რა თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ურთიერთ პატივისცემის ლენინური პრინციპებით.

ჩვენი ხალხების მეგობრობა დღეს ან გუშინ როდი წარმოშობილა. ჩვენი მეგობრობა განმტკიცებულია ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის ყველაზე მძიმე განსაცდელის წლებში დაღვრილი სისხლით. ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს წარსულ ბრძოლაში ჩვენი მტრების წინააღმდეგ, ჩვენ გვაერთიანებს საერთო მიზნები სოციალიზმის მშენებლობაში, ხალხთა მშვიდობისა და აყვავებისათვის ბრძოლაში.

თქვენ ყველამ კარგად იცით, თუ რა უდიდესი, ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული ცვლილებები მოხდა საერთაშორისო სარბიელზე ომისშემდგომ პერიოდში. პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი სხვა ქვეყნების ხალხებმა დაამხეს ექსპლოატატორთა ხელისუფლება და დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება. რევოლუცია მოახდინა და უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია დიდმა ჩინელმა ხალხმა. ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყანა დაადგა სოციალიზმის გზას.

სოციალიზმის ძალების ზრდა, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა გაჩაღებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა იმპერიალისტთა გააფთრებულ გაბოროტებას იწვევს.

ინგლისის, საფრანგეთისა და მათი მარიონეტის ისრაელის ავანტიურა თავდასხმა ეგვიპტეზე კოლონიზატორთა სასრწარკვეთილი ცდაა აღადგინონ დაკარგული პოზიციები, ძალით დააშინონ დამოკიდებული ქვეყნების ხალხები. მაგრამ ახლა ის დრო როდია, როცა იმპერიალისტებს შეეძლოთ დაუსჯელად დაეპყროთ სუსტი ქვეყნები. თავისუფლებისმოყვარე ეგვიპტელმა ხალხმა საკადრისი წინააღმდეგობა გაუწია აგრესორებს, ხოლო მის სამართლიან ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ მხურვალედ დაუჭირეს მხარი მთელ მსოფლიოში.

ახლა მიმდინარეობს რეაქციის მთელი ძალების გაფაციცებული საქმიანობა სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალების წინააღმდეგ. ფაშისტურ ბანდებს მძვინვარე იერიში მიაქვთ მუშათა კლასის მოწინავე რაზმების წინააღმდეგ, საფრანგეთის, იტალიისა და სხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ. ფაშისტური ელემენტების დახმარებით ბურჟუაზია ცდილობს გაანადგუროს კომუნისტური პარტიები, რათა შემდეგ ბურჟუაზიული დიქტატურის რკინის ლაგამი ამოსდოს მუშათა კლასს, გლეხობას, მშრომელ მასებს, სისხლის მორევში ჩაახრჩოს ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისადმი, მშვიდობისადმი, დემოკრატიისა და სოციალიზმისადმი. მაგრამ მუშათა კლასი, მშრომელები საკადრის და მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ იმპერიალისტური რეაქციის ძალების ყველა ხრიკებს.

ბურჟუაზიამ არაერთხელ მოაწყო სისხლიანი ანგარიშგასწორება დემოკრატიულ ძალებთან, ცდილობდა რა ასეთი გზით ჩაექრო კომუნიზმის იდეები. და ყოველთვის, მიუხედავად ბურჟუაზიის მძვინვარებისა, კომუნიზმის იდეები სულ უფრო ახალი და ახალი ძალით მტკიცდებოდნენ, ეუფლებოდნენ მილიონობით და მილიონობით ადამიანის გულსა და გონებას. ასეთივე პროცესი მიმდინარეობს ახლაც.

მშრომელი მასები ხედავენ, თუ რა საფრთხეს უქმნის მათ რეაქცია და ფაშიზმი, რა საფრთხე მოელის მშვიდობასა და დემოკრატიულ თავისუფლებებს. ამიტომ მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის ძალების, ინტელიგენციის პროგრესული ძალების მობილიზაცია რეაქციის ამ ტალღის წინააღმდეგ. კომუნისტური და მუშათა პარტიები რაზმავენ თავიანთ რიგებს და მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ რეაქციის ხრიკებს.

ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდი ხმაურია ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის გარშემო. ისარგებლა რა უნგრეთში დაშვებული შეცდომებითა და სიძნელეებით, შინაგანი და საერთაშორისო რეაქცია შეეცადა დაემხო სახალხო-დემოკრატიული წყობილება უნგრეთში. და დაემყარებინა იქ ჰორტისტულ-ფაშისტური რეჟიმი. კონტრრევოლუციურმა ბანდებმა სისხლიანი ტერორი გააჩაღეს უნგრეთში, სასტიკად უსწორდებოდნენ მუშებს, კომუნისტებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, სახალხო-დემოკრატიული წყობილების მომხრეებს.

ასეთ პირობებში უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ, რომელსაც ამხ. კადარი მეთაურობს, მიმართა საბჭოთა ჯარების სარდლობას და სთხოვა დახმარება. ერთობლივი ღონისძიებებით კონტრრევოლუცია უნგრეთში განადგურებულ იქნა. ახლა უნგრეთში მიმდინარეობს ნორმალური ცხოვრების აღდგენა და ეჭვი არ არის, რომ უნგრელი ხალხი, დაძლევს რა სიძნელეებს თავის გზაზე, წარმატებით შეასრულებს სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცების ამოცანას. კონტრრევოლუციისადმი გადამწყვეტი წინააღმდეგობა უნგრეთში, ის, რომ უნგრეთის რევოლუციურ ძალებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ყველა სოციალისტურმა სახელმწიფომ და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, მოწმობს მთელი იმ ძალების საერთაშორისო სოლიდარობას, რომლებიც იბრძვიან ნამდვილი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად იბრძოლებს მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის. ამ პოზიციის ახალი დადასტურებაა საბჭოთა მთავრობის დღევანდელი განცხადება შეიარაღების შემცირებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე. ჩვენ ყოველი ღონისძიებით ვიბრძოლებთ მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის და თანმიმდევრულად განვახორციელებთ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

ამხანაგებო! მეგობრებო!

პოლონეთის გაერთიანებულმა მუშათა პარტიამ უკანასკნელ ხანს განახორციელა მთელი რიგი სერიოზული ღონისძიებანი წარსულის შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, დასახა სოციალისტური მშენებლობის გზით შემდგომი წინსვლის პროგრამა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პოლონელი ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება თავისი ნაცადი ბელადის — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გარშემო, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ამხ. გომულკა მეთაურობს, თავისი მთავრობის გარშემო, დაძლევს ყველა სიძნელეს და მიაღწევს ახალ დიდ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა პოლონელი და საბჭოთა ხალხების ძმური, ურღვევი მეგობრობის სადღეგრძელო, მეგობრობისა, რაც ვითარდება იმ პრინციპებზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია სსრ კავშირის მთავრობის დეკლარაციაში საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარების და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა განვითარდება და განმტკიცდება. ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენ ყოველ ღონეს ხმარობთ ამისათვის და ჩვენც ჩვენი მხრივ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს მეგობრობა განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს ჩვენი ორივე ხალხის ინტერესებისათვის. იმაზე, თუ როგორ გაიზრდება და განვითარდება ჩვენი მეგობრობა, დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოების მთლიანობა და უშიშროება, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის უშიშროება. ცნობილია, რომ გერმანელი მილიტარისტები ოცნებობენ რევანშზე, მოითხოვენ გადაისინჯოს პოლონეთის საზღვრები ოდერ-ნოისეზე. ჩვენ მტკიცე წინააღმდეგობა უნდა გავუწიოთ რევანშისტებს, არ უნდა დავუშვათ, რომ გერმანულმა მილიტარიზმმა კვლავ ატეხოს სისხლიანი ომი პოლონელი ხალხის წინააღმდეგ, ჩვენი ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ. ჩვენ კიდევ უფრო უნდა დავირაზმოთ სოციალიზმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის საბრძოლველად.

დაე ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მარადიული მეგობრობა და ძმური თანამშრომლობა!

* * *

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვას, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს, მქუხარე ტაშით შეხვდნენ პოლონელი სტუმრები და დარბაზობის ყველა დამსწრენი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ.

ამხანაგ ვლადისლავ გომულკას სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო!
პატივცემულო სტუმრებო!
ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ!

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, სარგებლობს რა ამ დარბაზობით, მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობას ასეთი მეგობრული და გულითადი მიღებისათვის, როგორიც გაუწიეს მას ამ დიდი და ჩვენი მომძე ქვეყნის სტუმართმოყვარე დედაქალაქში.

გვსურს ჩვენი კმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ შესაძლებლობა მოგვეცა შევხვედროდით საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, სხვა სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებს.

ჩვენ მოსკოვში ვიმყოფებით მესამე დღეა და სასარგებლო მოლაპარაკებას ვაწარმოებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან. ჩვენი მოლაპარაკება მიმდინარეობს მეგობრულ ატმოსფეროში, გამსჭვალულია ურთიერთგაგებითა და გულწრფელი კეთილმოსურნეობით. ეს მოლაპარაკება გამსჭვალულია ორივე მხარის სოციალისტური თანასწორუფლებიანობის სულისკვეთებით.

ჩვენი მოლაპარაკების მსვლელობა მოწმობს სრულ გაგებას, რასაც საბჭოთა მხარე იჩენს, და მის კეთილმოსურნეობას იმ საკითხთა ფართო წრის დადებითად გადაჭრის მიმართ, რომლებიც ჩვენ წამოვაყენეთ. ეს გვინერგავს რწმენას, რომ ჩვენი მოლაპარაკება იძლევა დადებით და ორივე მხარისათვის ურთიერთსასარგებლო შედეგებს და რომ ეს შედეგები ჩვენი მტკიცე წვლილი იქნება ჩვენი ხალხების ძმური მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებასა და გაძლიერებაში. ეს აგრეთვე შემდგომ სარგებლობას მოუტანს სოციალისტური სახელმწიფოების მთელ ბანაკს, ისევე როგორც მშვიდობის ზოგადსაკაცობრიო იდეას, რომელიც ყველა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა იყოს.

ნება მიბოძეთ ჩვენი დელეგაციის სახელით ვადღეგრძელო და ვისურვო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კეთილდღეობა და აყვავება, ვისურვო პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის შემდგომი განმტკიცება და ნაყოფიერი თანამშრომლობა.

გაუმარჯოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ძმურ მეგობრობას!

* * *

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ სადღეგრძელოს, რომელიც ამხანაგმა ვ. გომულკამ წარმოთქვა პოლონეთ-საბჭოთა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

როგორც მოლაპარაკების მონაწილე საბჭოთა და პოლონეთის დელეგაციების ხელმძღვანელების — ნ. ს. ხრუშჩოვისა და ვ. გომულკას სიტყვები, გამსჭვალული ორივე ხალხის ურღვევი ძმობის რწმენით, ისე დარბაზობის გულითადობა მკაფიოდ მოწმობდნენ, რომ სულ უფრო მტკიცდება სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა, რომელიც ვითარდება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთ პატივისცემის საფუძვლებზე. (საკდესი).

დარბაზობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

18 ნოემბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში გაიმართა დიდი დარბაზობა, რომელიც პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ მოაწყო მოსკოვში საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მოლაპარაკების დამთავრებასთან დაკავშირებით.

სტუმრები მიიღეს: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ (დელეგაციის მეთაური), პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე ზაგადსკმ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იუზეფ ცირანკევიჩმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური დაგეგმვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ სტეფან ენდრიხოვსკიმ.

დარბაზობაზე იყვნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები ა. ი. მიქოიანი და მ. ზ. საბუროვი; ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ვ. მაცკევიჩი და მ. ვ. ხრუნიჩევი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში პ. კ. პონომარენკო, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

დარბაზობაზე იყვნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ევგენი შირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ი. ბანაკი, ამხანაგები მარია ვერნა, ვიტოლდ ტრომპჩინსკი, ჰენრიკ კოტლიცკი, ედვარდ ბარტოლი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმართა შორის იყვნენ მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან სსრ კავშირში.

დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ვლადისლავ გომულკამ.

ამხანაგ ვლადისლავ გომულკას სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!
პატივცემულო სტუმრებო!
ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ!
ძვირფასო ამხანაგო ვოროშილოვ!
ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ!

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის სახელით გულითადად მოგესალმებით დღევანდელ დარბაზობაზე. გულითადად მივესალმები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობას, რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებს, აგრეთვე დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

მივესალმები უცხო სახელმწიფოთა ელჩებსა და დესპანებს და ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს.

უკვე დადგა ამ დიდ და სიცოცხლით მჩქეფარე ქალაქში ჩვენი ყოფნის უკანასკნელი საათები. ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დელეგაციასთან ერთად გავატარეთ შრომით აღსავსე ოთხი დღე. ეს მოლაპარაკება დაგვირგვინდება დღეს ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერით.

როცა პოლონეთის დელეგაცია ვარშავიდან მოსკოვში მოემგზავრებოდა, ყოველი ჩვენგანი სხვადასხვა გრძნობას განიცდიდა. ერთი მხრივ ღრმად ვიყავით გამსჭვალული მისწრაფებით განგვემტკიცებინა და გაგვეძლიერებინა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ძმური მეგობრობის კავშირი, ხოლო მეორე მხრივ გვეპარებოდა ეჭვი, სავსებით და ჯეროვნად დაფასებენ თუ არა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელები იმ ცვლილებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის შედეგად.

დღეს, საერთო მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, შეგვიძლია სიხარულით ვთქვათ, რომ ჩვენი შიში არ დადასტურდა პოზიციით, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ დაიკავა იმ საკითხების მიმართ, რომლებიც პოლონეთის დელეგაციამ დასვა.

ჩვენი ერთობლივი მოლაპარაკებისა და შეხვედრების მსვლელობა და მათი შედეგები, რომლებსაც დეკლარაცია შეიცავს, წარმოადგენენ ძირეულ გარდატეხას პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის, აგრეთვე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ურთიერთობის პრაქტიკაში.

წინა პერიოდში ჩვენს ძმურ სახელმწიფოთაშორისო და პარტიათაშორისო ურთიერთობას ჩრდილს აყენებდა დამახინჯებანი და შეცდომები, რომლებიც გამომდინარეობენ იქიდან, რასაც შემოკლებული ფორმით ეწოდა პიროვნების კულტი. ეს დამახინჯებანი და შეცდომები აღიარებულ და დაგმობილ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჯერ კიდევ XX ყრილობაზე, ხოლო XX ყრილობის პოზიციის შემდგომი განვითარება იყო საბჭოთა მთავრობის მიმდინარე წლის 30 ოქტომბრის დეკლარაცია პარტიებისა და სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ.

ნება მიბოძეთ დღეს მთელი ძალით აღვნიშნო, რომ საბჭოთა მხარესთან ჩვენი მოლაპარაკების მსვლელობა და შედეგები სავსებით ადასტურებენ, რომ საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაცია ლიტონი სიტყვა კი არ არის, არამედ ცოცხალი შინაარსია, რომელმაც თავისი გამოხატულება ჰპოვა სრული თანასწორუფლებიანობის სოციალისტურ პრინციპებზე პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის და პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას შორის ურთიერთობის ახლანდელი დამყარების პრაქტიკაში.

მე მსურს აგრეთვე ხაზგასმით აღვნიშნო მეორე ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა მარტო სიტყვით როდი ეპყრობიან კრიტიკულად წარსულის ცუდ მხარეებს. ჩვენი მოლაპარაკების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მიერ იმ სარგებლობის სრული დაკმაყოფილება, რომელიც პოლონეთს ერგებოდა და რომელიც გამომდინარეობს ორ ქვეყანას შორის თანასწორუფლებიანი სავაჭრო-ფინანსური ბრუნვებიდან.

ამ ფაქტს, რომელიც ადასტურებს საბჭოთა კავშირის ნამდვილად ძმურ და სოციალისტურ ურთიერთობას სახალხო პოლონეთთან, რომელიც ამჟამად ძნელ ეკონომიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, — სათანადოდ დააფასებს პოლონელი ხალხი, ხოლო უწინარეს ყოვლისა პოლონეთის მუშათა კლასი.

აგრეთვე იმ სხვა საკითხების წარმატებით გადაჭრა, რომლებიც პოლონეთის დელეგაციამ დააყენა, ხელს შეუწყობს პოლონელ ხალხში საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი მეგობრობის გულითადი გრძნობების განმტკიცებას და იმ კავშირის განმტკიცებას, რომელიც ორივე ჩვენს ქვეყანას აერთიანებს.

ამას განსაკუთრებით მოითხოვს ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, რომლის შეფასება მოცემულია ჩვენს ერთობლივ დეკლარაციაში.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა პოლონელ ხალხსა და საბჭოთა კავშირის მომძე ხალხებს შორის მეგობრული და ნაყოფიერი თანამშრომლობის სადღეგრძელო.

გაუმარჯოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!
გაუმარჯოს ყველა ხალხს შორის მშვიდობასა და მეგობრობას!

* * *

შემდეგ შეკრებილთ სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო გომულკა!
ძვირფასო ამხანაგო ზაგადსკი!
ძვირფასო ამხანაგო ცირანკევიჩ!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, რომლებიც ჩამოხვედით პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციასთან ერთად, აგრეთვე ყველა აქ დამსწრე სტუმარო.

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩვენი კმაყოფილება იმ ერთობლივი მუშაობის შედეგებით, რომელიც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა გასწიეს. ჩვენ ვეთანხმებით იმ დახასიათებას, რომელიც ამხანაგმა გომულკამ ჩვენი მოლაპარაკების შედეგებს მისცა.

არა გვსურს იმის დამალვა, რომ ჩვენს პარტიებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში წარსულში იყო ზოგიერთი გაუგებრობა და შეცდომები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ ვდგავართ ერთსა და იმავე კლასობრივ, იდეურ პოზიციებზე, მაშინ ეჭვი არ არის, რომ ყველა საკითხი, რომლებიც ჩვენს პარტიებსა და სახელმწიფოებს შორის წარმოიშობა, შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც იჭრება ძმური ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ აზრს, რომელიც აქ ამხანაგმა გომულკამ გამოთქვა, რომ ბოლო მოეღო წარსულში არსებულ გაუგებრობას, რომ ჩვენი თანამშრომლობის შემდგომი გაუმჯობესების გზა გაწმენდილია. ჩვენ, ბოლშევიკები, ვასრულებთ რა დიდი ლენინის ანდერძს, გადავჭრით ვასწორებთ შეცდომებს, როცა ვხედავთ, რომ მართალი არა ვართ, მაგრამ არც ვთმობთ, როცა დარწმუნებული ვართ ჩვენს სიმართლეში.

ჩვენი პარტია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური დებულებით, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობას საფუძვლად უნდა ედოს შემდეგი პრინციპები — სრული თანასწორუფლებიანობა, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, საშინაო საქმეებში ჩაურევლობა.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

დარბაზობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

(დასასრული)

არ შეიძლება იყოს ასეთი საკითხი — საჭიროა თუ არა სხვადასხვა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა. თანაარსებობა იმის აღიარებული ფაქტია, რაც უკვე არსებობს. ჩვენ ვეუბნებით კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს: თუ გსურთ, შეგიძლიათ იაროთ ჩვენთან სტუმრად, თუ არა გსურთ, შეგიძლიათ არ იაროთ. ეს მაინცდამაინც საწყენად არ დაგვრჩება. მაგრამ თანაარსებობა ჩვენთვის აუცილებელია. თქვენზე როდია დამოკიდებული ის ფაქტი, რომ მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოთა მთელი სისტემა. ასეთია საზოგადოებრივი განვითარების კანონი, ამასთან ეს კანონი ჩვენს სასარგებლოდ მოქმედებს. ჩვენ, ლენინელები, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი საზოგადოებრივი წყობილება — სოციალიზმი საბოლოო ანგარიშით გაიმარჯვებს კაპიტალიზმზე. ასეთია კაცობრიობის ისტორიული განვითარების ლოგიკა.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე ბევრია სიძნელე, და ჩვენ ლენინელი ბოლშევიკები არ ვიქნებით, ამ სიძნელეებისა რომ გვეშინოდეს, უკან რომ ვიხევდეთ მათ წინაშე. ჩვენს ქვეყანაში დაიბადა პირველად ახალი საზოგადოებრივი წყობილება, დამკვიდრდა ახალი ურთიერთობა. ჩვენში — სოციალიზმის გზაზე დამდგარ პირველ ქვეყანაში, არ იყო ახალი საზოგადოების მშენებლობის გამოცდილება, პირველ ხანებში არ გვყავდა კარგად მომზადებული კადრები, სწრაფად და უშეცდომოდ რომ გვეშენებინა სოციალიზმი. გვიხდებოდა გვესწავლა მუშაობის დროს. ჩვენ ცოტა როდი გვქონდა შეცდომა, და მშვენივრად გვაქვს წარმოდგენილი, ჩვენ რომ ახლა ჩვენი ახლანდელი გამოცდილებით მოგვიხდეს ახალი საზოგადოების მშენებლობის დაწყება, ამას გაცილებით უფრო წარმატებით, ნაკლები შეცდომითა და მსხვერპლით გავაკეთებდით. მაგრამ ისტორია არ მეორდება, და ამ მხრივ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე დამდგარი სხვა ქვეყნები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ჩვენ ვიყავით. მათ შეუძლიათ გამოიყენონ უკვე არსებული გამოცდილება და თავიდან აიცილონ ბევრი შეცდომა.

სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ახლა აღარ გვაქვს სიძნელეები, რომ სიძნელეები არ გვექნება მომავალში. სიძნელეები არის და კვლავაც შეიძლება იყოს. მაგრამ ჩვენ აგრეთვე კარგად ვიცით, რომ ჩვენს დიად გზაზე არსებული ყველა სიძნელე აუცილებლად გადალახულ იქნება.

ამხანაგებო! ვლაპარაკობ რა სიძნელეებზე, რომლებიც სოციალიზმის მშენებელი ხალხების გზაზე წარმოიშობა, მიხდა, კერძოდ, ვთქვა უნგრეთზე, სადაც ამას წინათ კონტრრევოლუციური შეთქმულება მოეწყო ხალხის წინააღმდეგ. კონტრრევოლუციონერებმა სცადეს გამოიყენებინათ სიძნელეები, რომელთა მიზეზები მნიშვნელოვანწილად გამოიწვია წინანდელი ხელმძღვანელობის შეცდომებმა. რეაქციონერებმა გამოიყენეს ეს შეცდომები, რათა გაეყოლიებინათ მასები. შეიქმნა საშიში მდგომარეობა, რომლის დროსაც საფრთხეში ჩავარდა უნგრეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილების მთელი მონაპოვარი. უნგრეთის რევოლუციურმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ გვთხოვა დავხმარებოდით გათავხედებული კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, უნგრეთის სოციალიზმის მონაპოვართა დაცვაში, და ჩვენ იძულებული გავხდით გაგვეწია ეს დახმარება. ჩვენ გვჯერა, რომ უნგრელი ხალხი მიხვდება უნგრეთში არეულობის ორგანიზატორთა ნამდვილ მიზნებს. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ კონტრრევოლუცია უნგრეთში საბოლოოდ განადგურებულ იქნება, და უნგრეთის მუშათა კლასი გამარჯვებას იზეიმებს.

ზოგი ვინმე კაპიტალისტური ქვეყნების პოლიტიკოსთაგან გვეუბნება — გაუქმეთ ვარშავის ხელშეკრულება, გაიყვანეთ თქვენი ჯარები სხვა ქვეყნებიდან, სადაც ისინი ვარშავის ხელშეკრულების მიხედვით იმყოფებიან, და ამით თქვენს მშვიდობისმოყვარულობას დაამტკიცებთო.

პატივცემულო ბატონებო, — ვუპასუხებთ ასეთ ადამიანებს, — როგორც კი გაიყვანთ თქვენს ჯარებს დასავლეთ გერმანიიდან, როგორც კი მოსპობთ თქვენს სამხედრო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზებს სხვის ტერიტორიებზე, ჩვენ ამავე დროს აგრეთვე გამოვიყვანთ ჯარებს იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი ვარშავის ხელშეკრულებით იმყოფებიან. ეს ჯარები იქ სოციალისტური ქვეყნების მთავრობათა ურთიერთ თანხმობით არიან და მათი ყოფნის საკითხს გადაჭრიან სოციალისტური ქვეყნების მთავრობები საბჭოთა მთავრობის 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციაში გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად.

როცა ბურჟუაზიული სამყაროს წარმომადგენლები უნგრეთის ამბებზე ლაპარაკობენ, ისინი ხმარობენ სხვადასხვა საშინელ სიტყვას „საბჭოთა აგრესიის“, „სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის“ შესახებ და სხვ. მაგრამ, როცა საქმე ეგვიპტის წინააღმდეგ კოლონიზატორთა აგრესიას ეხება, ეს, მათი მტკიცებით, ომი კი არ არის, არამედ მხოლოდ უვნებელი „პოლიციური ღონისძიებებია“ ეგვიპტეში წესრიგის დასამყარებლად. მაგრამ ახლა ყველა ხედავს, თუ რა „ღონისძიებებია“ ეს და რა „წესრიგს“ ამყარებენ იქ. ეს არის კოლონიზატორთა ღონისძიებანი კოლონიზატორული წესრიგის დასამყარებლად ეგვიპტეში, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინათ განთავისუფლდა კოლონიური ჩაგვრის უღლისაგან და სურს ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს როგორც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ეს არის ღონისძიებები კოლონიური წესრიგის რესტავრაციისათვის.

მაგრამ ახლა ის დრო აღარ არის, როცა კოლონიზატორებს შეეძლოთ თავს მოეხვიათ ხალხებისათვის თავისი ნება.

ჩვენი სიმპათიები მთლიანად ეგვიპტის მხარეზეა მის სამართლიან ბრძოლაში.

ხშირად დასავლეთის ქვეყნებში შეიძლება გავიგონოთ: „ნასერი პოლკოვნიკია და მეტი არაფერი“. ავიწყდებათ, რომ ნასერი სუვერენული სახელმწიფოს პრეზიდენტია და იგი იმის ღირსია, რომ შესაფერისად ელაპარაკონ. ცნობილია, რომ ნასერი თავისი იდეოლოგიით კომუნისტი არ არის. მაშ რატომ ვუჭერთ მას მხარს? იმიტომ, რომ იგი ეროვნული გმირია, იმიტომ რომ იგი სათავეში ჩაუდგა ეგვიპტელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ჯარების წინააღმდეგ, რომელნიც სუვერენული ეგვიპტის სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

როგორც თქვენ იცით, ჩვენ საკმაოდ გულახდილი წერილები გავუგზავნეთ ინგლისს, საფრანგეთს, აგრეთვე ისრაელის მთავრობებს, ისრაელისა, რომელიც დიდმა კოლონიურმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიის გასაჩაღებლად.

ჩვენ მხურვალედ ვუჭერთ მხარს ეგვიპტის სამართლიან საქმეს მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვაში, და დარწმუნებული ვართ, რომ ეგვიპტე გაიმარჯვებს თავის განმათავისუფლებელ ბრძოლაში.

მაგრამ ჩვენ რეალისტები ვართ და არ გვინდა გავაღვივოთ ომის ხანძარი, პირიქით, ყოველი საშუალებით ვისწრაფვით ჩავაქროთ ომის კერა, რომელიც ახლო აღმოსავლეთში წარმოიშვა. ჩვენი პოზიცია ამ საკითხში ნათელი და ამკარაა. და ჩვენ გვგონია, რომ ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის ხელმძღვანელები საღად აწონ-დაწონიან ყველა გარემოებას და გაიყვანენ თავიანთ ჯარებს ეგვიპტიდან.

უნდა მოვითხოვოთ და ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გაიყვანონ აგრესორთა ჯარები ეგვიპტიდან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგვიპტე დაიცავს თავის დამოუკიდებლობას და მამაცი ეგვიპტელი ხალხი განაგრძობს თავის ისტორიულ განვითარებას, ივლის რა მშვიდობისა და სხვა ხალხებთან მეგობრობის განმტკიცების გზით.

რამდენადაც ჩვენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ერთად პლანეტაზე ვცხოვრობთ, ყოველდღიურად უნდა ვეძებოთ მშვიდობიანი თანაარსებობის განვითარების სულ ახალი და ახალი ხერხები. ჩვენ ასეთ საშუალებებს ვეძებთ და ვგვონია, რომ ამ საქმის ინტერესებს ემსახურება საბჭოთა მთავრობის განცხადება განიარაღების და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე.

ბატონო კაპიტალისტური ქვეყნების კორესპონდენტებო! თქვენ ძალიან ხშირად წერთ, რომ ჩვენ ვესწრაფვით ომს. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ ზოგჯერ მეტისმეტად ძნელ მდგომარეობაში ვარდებით. ვიმეორებ, რომ ჩვენ ერთ დღესაც არ დავაყოვნებთ გერმანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩვენი ჯარების გამოყვანას, თუ კაპიტალისტური ქვეყნები გაიყვანენ თავიანთ ჯარებს დასავლეთ გერმანიიდან და მოახდენენ სხვის ტერიტორიაზე თავიანთი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ბაზების ლიკვიდაციას. მაგრამ ჩვენ გულუბრყვილო ადამიანები როდი ვართ, ჩვენ ვიცნობთ იმპერიალისტური წრეების ჩვევას. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ წინააღმდეგობა გავუწიოთ იმათ, ვინც იფიქრებს თავს დაგვესხას.

ამხანაგებო, მეგობრებო! პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შუა პერიოდში პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიასთან მეგობრობის და არა განრიდებულობის ურთიერთობა რომ გვქონოდა, უფრო ადვილი იქნებოდა აგრესორების ალაგმვა, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომი გააჩაღეს. მოდით გამოვიტანოთ ყველა დასკვნა ისტორიული წარსულიდან. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა.

სოციალისტური ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა რომ მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს, არ უნდა გავაზვიადოთ საკითხი იმის შესახებ, თუ სოციალიზმის მშენებლობის ვისი გამოცდილება სჯობს — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, პოლონეთის თუ ბულგარეთისა. თუ სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებაზე ვილაპარაკებთ, მე ვიტყოდი, რომ პირადად მე ძალიან მომწონს ჩინელი ამხანაგების სიბრძნე, რომელნიც შემოქმედებითად და ერთობ ორიგინალურად, თავიანთი ქვეყნის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით წყვეტენ სოციალიზმის მშენებლობის მეთოდების საკითხს, ძლევენ რა ბევრ სიძნელეს.

ჩვენ მოხარული ვართ და ვამაყობთ იმით, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია, დიდი ჩინელი ხალხი წარმატებით წყვეტენ თავიანთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებს.

ჩვენ, ლენინელები, ვაღიარებდით და ვაღიარებთ, რომ თვითეულ ქვეყანას, პოლონეთი იქნება ეს, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, რუმინეთი თუ სხვა ქვეყანა, აქვს თავისი სპეციფიკური, ეროვნული და სოციალური თავისებურებანი და უნდა ითვალისწინებდეს მათ ახალი საზოგადოების შექმნისას. და მე იმედი უნდა გავუცრუო იმათ, ვისაც, შესაძლოა, სურს ერთმანეთს შეაჯახოს სოციალისტური ქვეყნები იმ საკითხში, თუ სოციალიზმის მშენებლობის ვისი გამოცდილება სჯობს. ეს არ გამოუვათ! ჩვენ ლენინელები ვართ და ვამაყობთ ამით. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ინტერნაციონალისტები ვართ და კვლავაც ინტერნაციონალიზმის დროშის ერთგული ვიქნებით. ჩვენ მუდამ მხარს ვუჭერდით და მხარს დავუჭერთ ერთმანეთს ჩვენს ერთობლივ ბრძოლაში ჩვენი საერთო საქმისათვის, სოციალიზმისათვის.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის არ არის და არც შეიძლება იყოს ანტაგონიზმი, რადგან მათ აერთიანებს საერთო მიზნები და ინტერესები. არც ერთი სოციალისტური ქვეყანა არ ისახავს მიზნად თავს მოახვიოს სხვა ქვეყნებს თავისი მეთოდები, თავისი გამოცდილება. და ის, ვინც აზვიადებს თავის გამოცდილებას, ცდილობს ქება შეასხას თავის ფორმებსა და მეთოდებს, ის არასწორ პოზიციებზე დგას. ეს არ შეესაბამება მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებს. არ შეიძლება სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების გამოყენებას მივუდგეთ, როგორც საქონლს სავაჭრო დუქანში. სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება ძვირი ღირდა, რომელიც შეიძლება გავასაღოთ შომბანზრებელი რეკლამის საშუალებით. კარგი გამოცდილება მუდამ იპოვნის თავის მოძიებლებსა და მიმდევრებს და მას თავსმოუხვევლად გამოიყენებენ სხვა ქვეყნები.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, დაგარწმუნოთ, პოლონელო ძმებო, რომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, არასოდეს არ მივატოვებთ გაჭირვებაში პოლონელ ხალხს და სწორედ ასევე იმედი გვაქვს, რომ თქვენც ასე მოიქცევით, რომ ჩვენ მუდამ ვიგლით ერთად ჩვენი საერთო საქმისათვის ბრძოლაში.

ზოგჯერ გაიგონებთ, რომ საბჭოთა კავშირი რაღაც ეკონომიურ სარგებლობას იღებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მეგობრობისაგან, და კერძოდ, პოლონეთთან მეგობრობისაგან. ეს სრულიად არ არის სწორი. ჩვენ რომ ასეთ მიზნებს ვისახავდეთ, სულ სხვა პოლიტიკას განვახორციელებდით.

ვიმეორებ, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობაში იყო წინათ შეცდომები, დაკავშირებული პიროვნების კულტის პერიოდთან. მაგრამ ყოველივე ეს იყო წინათ. ჩვენი პარტიისა და ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა გულწრფელად და სულით და გულით მიესალმება იმას, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი გახდა ამხანაგი ვლადისლავ გომულკა, და ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ახალ ხელმძღვანელობას წარმატებებს მის მოღვაწეობაში პოლონელი ხალხის საკეთილდღეოდ.

მე ვადღეგრძელებ სოციალისტური ქვეყნების მეგობრობას, მათ შორის კავშირის განმტკიცებას, ძმურ მეგობრობასა და თანამშრომლობას საბჭოთა და პოლონელ ხალხებს შორის, ძმურ მეგობრობას ჩვენს პარტიებს შორის!

* * *

ამხანაგების ვლადისლავ გომულკასა და ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს გულთბილად შეხვდნენ დამსწრენი და არაერთხელ შეაწყვეტინეს ხანგრძლივი ტაშით.

დარბაზობა ძმური და გულითადი იყო და კვლავ ცხადყო საბჭოთა და პოლონელი ხალხების მზარდი მეგობრობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის შეხედულებათა ერთიანობა ერთობლივ ბრძოლაში სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. (საკდესი).

საბჭოთა კავშირიდან გაემგზავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ბრესტი, 19 ნოემბერი. (საკდესი). დღეს 15 საათსა და 20 წუთზე ბრესტში ხანმოკლე შეჩერების შემდეგ სპეციალური მატარებლით საქართველოში გაემგზავრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია.

ბრესტის ვაგზალში დელეგაცია გააცილეს: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნ. ს. პატოლიჩევმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში ი. ბანაკმა, პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. მ. მაშეროვმა, პარტიის ბრესტის საოლქო კომიტეტის მდივანმა ო. ს. გრომოვამ, ბრესტის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. ე. კრიშტოფოვიჩმა, ბრესტის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარემ ი. მ. დრაგუნმა, პარტიის ბრესტის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ი. სიროტოვმა და სხვებმა.

ვაგზალი მორთული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ სახელმწიფო ალმებით.

სტუმრების გასაცილებლად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული, შესრულებულ იქნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ბელორუსიის სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ კ. კ. როკოსოვსკის საბჭოთა კავშირი დაგრუნებისათვის

1949 წლის ნოემბერში ბოლესლავ ბერუტმა, რომელიც მაშინ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო, საბჭოთა მთავრობას სთხოვა საბჭოთა კავშირის მარშალი როკოსოვსკი, მისი პოლონური ეროვნული წარმოშობის გამო, გაეგზავნა პოლონეთის მთავრობის განკარგულებაში პოლონეთის ჯარში სამსახურისათვის.

საბჭოთა მთავრობა, ემყარებოდა რა სსრ კავშირისა და პოლონეთის მეგობრულ ურთიერთობას და გაითვალისწინა რა, რომ ამხანაგმა როკოსოვსკიმ ამ საკითხის გადაჭრა მთლიანად მიანდო საბჭოთა მთავრობას, დათანხმდა დაეკმაყოფილებინა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის თხოვნა, გაათავისუფლა მარშალი როკოსოვსკი საბჭოთა არმიაში სამსახურისაგან და გაგზავნა იგი პოლონეთის მთავრობის განკარგულებაში.

პოლონეთში მუშაობისას ამხანაგ როკოსოვსკის ეკავა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი.

მიმდინარე წლის ნოემბერში კ. კ. როკოსოვსკი თავისი პირადი თხოვნით პოლონეთის მთავრობის მიერ განთავისუფლებულ იქნა დაკავებული თანამდებობებიდან და პოლონეთის მთავრობის თანხმობით გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში.

თავისი მოღვაწეობისათვის, რაც დაკავშირებული იყო გერმანელ დამპყრობთაგან პოლონეთის განთავისუფლებასა და პოლონეთის შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან, პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილებით კ. კ. როკოსოვსკის მიეკუთვნა პოლონეთის მარშლის წოდება და იგი დაჯილდოებული იყო I ხარისხის „ვირტუტი მილიტარის“ ორდენით, I ხარისხის „გრიუნვალდის“ ჯვრით და „ბუდოვნიჩი პოლსკი ლიუდოვეის“ ორდენით.

საბჭოთა კავშირში გამომგზავრების წინ ამხ. როკოსოვსკი მიიღეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეშ ამხანაგმა ზავადსკიმ და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა გომულკამ, რომლებმაც გულთბილი მადლობა გადაუხადეს მას მისი დიდი მუშაობისათვის, რაც შეასრულა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად. ამხანაგ როკოსოვსკის გადაეცა მთავრობის სიგელი, რომელშიც აღნიშნულია მისი დიდი დამსახურება პოლონეთის სახელმწიფოს წინაშე. სიგელს ხელს აწერენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვლადისლავ გომულკა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ალექსანდრე ზავადსკი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იუზეფ ცირანკევიჩი. (ტექსტი ქვემოთ ქვეყნდება).

ამხანაგ კონსტანტინე როკოსოვსკის
პოლონეთის მარშალს

ძვირფასო ამხანაგო!

მიიღეთ მადლიერებისა და გულწრფელი მადლობის გრძნობები თქვენი თავდადებული შრომისათვის პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრისა და პოლონეთის ჯარის მთავარსარდლის პოსტზე.

იმ მომენტიდან, როცა თქვენ პოლონეთის მთავრობის თხოვნით ჩაიბარეთ ეს პოსტი, თქვენ, ძალების დაუშურებლად, მთელ თქვენს ცოდნასა და უნარს ახმარდით ამ მოვალეობათა უკეთ შესრულებას.

თქვენი მუშაობის დადებით შედეგებს მოწმობს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და პოლონეთის ჯარის როგორც ორგანიზაციული დონის, ისე აღჭურვისა და წვრთნის ამაღლება, რაშიც ძალიან დიდია თქვენი წვლილი.

პარტია და ხალხი ამას არასოდეს არ დაივიწყებენ, ისევე როგორც არასოდეს არ დაივიწყებენ თქვენს გმირობასა და თქვენს წვლილს ჰიტლერიზმის განადგურებისა და პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც, ამხანაგო მარშალო, შეინარჩუნებთ კარგ მოგონებას ჩვენთან თანამშრომლობის შესახებ.

ერთობლივ საქმიანობას და ერთობლივ შრომას, რამაც ასე დაგვაახლოვა, მტკიცე მნიშვნელობა აქვს.

გისურვებთ ბევრ ძალღონეს, ჯანმრთელობასა და საუკეთესო შედეგებს შემდგომ მუშაობაში სოციალიზმის, მშვიდობისა და პროგრესის ინტერესების საკეთილდღეოდ, რაც ასე ძვირფასია ყველა ჩვენგანისთვის.

პარტიული სალამით!

ა. ზავადსკი
სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე

ვ. გომულკა
პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ი. ცირანკევიჩი
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

* * *

საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. კ. კ. როკოსოვსკი მიმდინარე წლის 15 ნოემბერს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში და სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით დაინიშნა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

ოჩამჩირეს ბრიგადის ბრიგადირ ალექსანდრ ბოლოტნიკოვის

... ...

... ...

... ...

უცხოეთის გამოხმაურება საბჭოთა მთავრობის განცხადების გამო განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე

პოლონეთი

ვარშავა, 18 ნოემბერი. (საკდესი). ყველა ცენტრალური გაზეთი დღეს თვალსაჩინო ადგილს აქცევენს საბჭოთა მთავრობის განცხადებას განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე.

კომენტარს უკეთებს რა განცხადებას, გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს: საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას შესახებ. ეს წინადადებები ახალი ცდაა საბჭოთა კავშირის და დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების დაახლოებისა.

უნდა მოველოდეთ, აღნიშნავს გაზეთი, რომ საბჭოთა კავშირის ახალი წინადადებანი, თუ დასავლეთის სახელმწიფოები გამოიჩენენ კეთილ ნებას, გზას გაუკვლევენ ახალ ნაყოფიერ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, გახდებიან სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის საფუძველი. ეს მოლაპარაკება შეიძლება დაიწყოს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მე-11 სესიაზე, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. განსაკუთრებით განიარაღების კომისიაში.

მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებით არ უნდა შეიზღუდოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კაცობრიობის განთავისუფლება განუწყვეტელი გამალებული შეიარაღების კოშმარისაგან. ყველას ახსოვს, რომ „დიდი ოთხეულის“ შარშანდელი ივლისის შეხვედრა ენერგიაში ნაყოფიერი იყო. ძალიან კარგია, რომ საბჭოთა მთავრობა გამოქვეყნებულ განცხადებაში ერთხელ კიდევ მხარს უჭერს შვეიცარიის წინადადებას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ ასეთი თათბირი გააადვილებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომდინარე სესიის მუშაობას და ამავე დროს მას შეიძლება მოჰყოლოდა ახალი მოლაპარაკება განიარაღებას საკითხზე. ასეთი შეხვედრა მით უფრო საჭირო, რომ ახლანდელი საერთაშორისო მდგომარეობა მოითხოვს გამოვიყენოთ ყოველი ღონისძიება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 18 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადებამ განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობის საყოველთაო მოწონება ჰპოვა. გაზეთები განცხადებას აქვეყნებენ თვალსაჩინო ადგილას სათაურით: „სსრ კავშირმა კვლავ აღმოაღლა ხმა გამალებული შეიარაღების შეჩერებისათვის, ატომგადლის იარაღის აკრძალვისა და მისი გამოცდის შეწყვეტისათვის, სხვის ტერიტორიებზე მდებარე ბაზებიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისათვის, ქმედითი კონტროლისათვის“.

გაზეთი „რუდე პრავო“ დღეს მოწინავე სტატიაში წერს: რეაქციულმა საერთაშორისო ძალებმა ორგანიზებული ლაშქრობა მოაწყეს მშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ. მათ სურდათ უკუღმა დაებრუნებინათ ისტორიის ჩარხი. მაგრამ ისტორიული განვითარების შეფერხება შეუძლებელია როგორც ეგვიპტეში, ისე არაბთა სხვა ქვეყნებში, როგორც უნგრეთში, ისე სადმე სხვა ადგილას. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი კიდევ უფრო დაიჩაზმა და კიდევ უფრო მტკიცედ უწევს წინააღმდეგობას აგრესორებს. მშვიდობისმოყვარე ძალები კიდევ უფრო გადაჭრით აწარმოებენ ბრძოლას ყველა ფრონტზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების დაცვისათვის, ხალხთა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების პატივისცემისათვის, განიარაღებისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის, მშვიდობის დასაცავად ქმედითი ღონისძიებებისათვის.

ამ მხრივ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ახალ განცხადებას განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე. ახალი საბჭოთა წინადადებანი, ეჭვი არ არის, დიდმნიშვნელოვანი საშუალება იქნება მშვიდობისმოყვარე ხალხთა ბრძოლაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების გამარჯვებისათვის.

ინდოეთი

დელი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრესა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით ათავსებს განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე საბჭოთა მთავრობის განცხადების შინაარსს. გაზეთები განსაკუთრებით აღნიშნავენ, რომ ინდოეთი იმ სახელმწიფოთა შორის არის, რომლებსაც მიმართა საბჭოთა მთავრობამ.

გაზეთ „ჰინდუსტან სტანდარდში“ დაბეჭდილია სტატია სათაურით: „საბჭოთა კავშირს შემოაქვს წინადადება გაიმართოს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ მაღალ დონეზე. მიწვეულია ინდოეთი“. გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ სათაურში წერს: „საბჭოთა კავშირს შემოაქვს განიარაღების ყოვლისმომცველი გეგმა. იგი მტკიცედ მოითხოვს მოეწყოს დიდი ოთხეულის მოლაპარაკება ინდოეთის მონაწილეობით. შემოტანილია წინადადება მოისპოს ბომბების მარაგი“.

ეგვიპტე

კაირო, 18 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადებამ განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე ეგვიპტის საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიაქცია.

გაზეთები შემდეგი სათაურებით აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას:

გაზეთი „აშ-შაბაბ“ — „საბჭოთა კავშირი ახალ წინადადებებს აყენებს განიარაღება დარგში“, „ბულგანინი აცხადებს: ომს ისტერია ქმნის კონფლიქტის გაფართოების საფრთხეს, ეგვიპტის წინააღმდეგ აგრესიამ ახალი მსოფლიო ომის საფრთხე შექმნა“.

გაზეთი „ალ-აჰბარი“ — „ბულგანინი მოითხოვს ატომური და წყალბადის ბომბების მოსპობას. წინადადებაა მოწვეულ იქნას თათბირი, რომელიც შეიმუშავებს განიარაღების პროგრამას“.

გაზეთი „ალ გუმჰურია“ — „ბულგანინი აცხადებს: ეგვიპტის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურამ სერიოზულად შეასუსტა ინგლისისა და საფრანგეთის არა მარტო პოლიტიკური, არამედ სამხედრო-სტრატეგიული პოზიციებიც“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს განცხადებას იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია იმ ძალების სიმძლავრეზე, რომლებიც მზად არიან მოიგერიონ აგრესორები.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების. ყველა რადიოსადგურმა დილადანვე გადასცა შინაარსი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე. დღის გაზეთებმა პირველ გვერდზე მოათავსეს ამ განცხადების ტექსტის შინაარსი. დეპეშათა საგენტოებმა გადასცეს განცხადების სრული ტექსტი ამერიკის პრესისათვის.

გაზეთები „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ სათაურებში ხაზგასმით აღნიშნავენ სბჭოთა მთავრობის წინადადებას აეროფოტოგადაღების საკითხზე.

იუნაიტედ პრესის „აგენტის“ კორესპონდენტი ვაშინგტონში გონსალესი წერს, რომ საბჭოთა განცხადება „ახალ და პოტენციურად დამაიმედებელ რამეს შეიცავს“.

„დიდი თანამდებობის ოფიციალური პირები, — აღნიშნავს გონსალესი, — დაუყოვნებლივ შეუდგნენ საბჭოთა კავშირის წინადადებათა გულმოდგინე ანალიზს“.

გონსალესი შემდეგ აღნიშნავს, რომ ეიზენჰაუერის სპეციალურმა მრჩეველმა განიარაღების საკითხებში სტასენმა „დაუყოვნებლივ მოიწვია თათბირი განიარაღების საკითხთა სადეპარტამენტთაშორისო კომიტეტისა, რომელშიც შედიან სახელმწიფო დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, ატომის ენერგიის. კომისიისა და დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენლები. ისინი შეუდგნენ საბჭოთა კავშირის წინადადებათა დეტალურ შეფასებას“. გონსალესის სიტყვით, „მას შემდეგ, რაც სტასენის კომიტეტი შეისწავლის განცხადებას, შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ განახორციელონ ფრთხილი ზონდაჟი დიპლომატიური არხების საშუალებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმისათვის, რომ მიიღონ რუსეთის ზოგიერთი იდეის ახსნა-განმარტება...“

როგორც შემდეგ კორესპონდენტი აუწყებს, ამერიკის შეერთებული შტატების ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადება ავიაინსპექციის სისტემის გამოყენების საკითხზე, განსაზღვრულ რაიონშიც კი, „შეიძლება მეტად დიდმნიშვნელოვანი აღმოჩნდეს“.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ქეროლი გაშინგტონიდან გამოგზავნილ ცნობაში იმოწმებს სპეციალისტებს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება შეიცავს „ახალ ელემენტებს, რომლებიც სერიოზული განხილვის ღირსია“. ერთ-ერთი ახალი მომენტი, წერს იგი, „არის საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმული მზადყოფნა შეისწავლოს „ღია ცის“ იმ გეგმის შეზღუდული ვერსია, რომელიც პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა წამოაყენა“.

ვაშინგტონიდან გადაცემულ ცნობაში გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი უორნერი გადმოგვცემს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა „თავდაჭერილად“ შეხვდა ცნობას საბჭოთა მთავრობის წინადადების შესახებ.

სარედაქციო სტატიაში იგივე გაზეთი წერს: „პრინციპულად და როგორც პოლიტიკის კურსის საკითხს ჩვენ ერთბაშად როდი უარყოფთ რაიმე წინადადებას, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს მშვიდობის საქმეს. ამიტომ ეს წინადადება (საბჭოთა კავშირისა. — **რედ.**) შესწავლილ უნდა იქნას და, თუ იგი რაიმე ახალ მიდგომას გვიქადის განიარაღების პრობლემისადმი, მას მიესალმებიან“.

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღებას საკითხზე ამჟამად ყურადღებით სწავლობს სახელმწიფო დეპარტამენტი. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ისინი განიხილა დალესთან ერთად, როცა იგი საავადმყოფოში ნახა.

ინგლისი

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ლონდონის კვირის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე.

გაზეთ „რეინოლდს ნიუსის“ საგარეოპოლიტიკური მიმომხილველი არტურ რობენსი, კომენტარს უკეთებს რა საბჭოთა მთავრობის განცხადებას, იალუქრებს ამ განცხადებაში წამოყენებულ მთელ რიგ წინადადებათა წინააღმდეგ, მაგრამ წერს: „რამდენადაც რუსეთის წინადადებანი ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელებას, ისინი გულდასმით უნდა შეგისწავლოთ. დასავლეთის სახელმწიფოებიც მზად უნდა იყვნენ შეიტანონ თავიანთი წინადადებანი სსრ კავშირის წინადადებებთან ერთად. მაშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა კვლავ გვეცადნა მშვიდობისა და ომის პრობლემის გადაჭრა“. იგივე გაზეთი, ამტკიცებს რა სარედაქციო სტატიაში, რომ საბჭოთა წინადადებანი თითქოს „არცთუ ძალიან ბევრ ახალ რამეს“ შეიცავენ, ამავე დროს აღნიშნავს, რომ ომის ერთადერთი ალტერნატივა სსრ კავშირთან მშვიდობიანი თანაარსებობა და რომ ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ „ყოველი შესაძლებლობა ვაწარმოოთ მასთან მოლაპარაკება მშვიდობაზე.... ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, — განაგრძობს გაზეთი, — ის არის, რომ საბჭოთა წინადადებას მოჰყვეს დასავლეთის წინადადება“.

გაზეთი „ნიუს ოფ უორლდი“ სარედაქციო კომენტარებში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირს შემოაქვს წინადადებანი, მაშინ როცა შეერთებული შტატები, როგორც ჩანს, მერყეობენ. „მოსკოვმა იცის, საით მიდის, — წერს გაზეთი. — იცის თუ არა ეს ვაშინგტონმა?“

მთელი რიგი გაზეთები, როგორც, მაგალითად, „ობსერვერი“, „რეინოლდს ნიუსი“ და „სანდი პიკტორიელი“, აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირმა ანგარიში გაუწია დასავლეთის სახელმწიფოთა სურვილს აეროფოტოგადაღების გეგმის საკითხში და გამოთქვა მზადყოფნა განიხილოს ევროპაში მისი გამოყენების საკითხი.

საფრანგეთი

პარიზი, 18 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის განცხადებამ განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საკითხზე ფართო გამოხმაურება გამოიწვია საფრანგეთში. განცხადების შინაარსი გადასცეს პარიზის რადიოთი და გამოქვეყნეს დღევანდელ, კვირის გაზეთებში. გაზეთი „ლუმანიტე დიმანში“ ამ ცნობას ათავსებს პირველ გვერდზე და გამოაყოფს საბჭოთა მთავრობის განცხადების იმ ხაწილს, სადაც ლაპარაკია სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ინდოეთის ძთავრობათა მეთაურებს თათბირის მოწვევის მიზანშეწონილობაზე იმისათვის, რომ გაადვილდეს შეთანხმების მიღწევა იმ საკითხებზე, რომლებიც განიარაღების პრობლემას ეხება.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს აგრეთვე განცხადების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობ. თანახმაა განიხილოს აეროფოტოგადაღების გამოყენების საკითხი.

გაზეთი „ჟურნალ დიუ დიმ.ნში“ აცხადებს, რომ, მისი ცნობებით, პარიზის ოფიციალურ წრეებში ეს წინადადება მიიჩნიათ „ერთადერთ ახალ ელემენტად“ საბჭოთა წინანდელ წინადადებებთან შედარებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

16 ნოემბრის დღის სხდომა

ნიუ-იორკი, 17 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 16 ნოემბრის დღის პლენარულ სხდომაზე დაიწყო საერთო პოლიტიკური დისკუსია, რომლის მსკლელობაშიც დელეგაციები აყალიბებენ თავიანთ მთავრობათა პოზიციებს იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებად მიაჩნიათ.

დღეევანდელ სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს ბრაზილიის, ერაყის, ამერიკის შეერთებული შტატების, ეკვადორის, პორტუგალიისა და დომინგოს რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

ბრაზილიის დელეგატმა დე ფრეიტას-ვალემ მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებს „გამოიჩინონ სიბრძნე და მოთმინება“, რათა „თავიდან აიცილონ“ გართულებული საერთაშორისო ვითარების „გაძლიერების საშიშროება“. მაგრამ ბრაზილიის დელეგატმა კონსტრუქციული ვერაფერი ვერ წარმოადგინა. მოუწოდა რა გაითვალისწინონ სუეცის არხით მოსარგებლეთა ინტერესები, იგი ცდილობდა გაემართლებინა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის აგრესია ეგვიპტეში ეგვიპტის მიერ ამ სახელმწიფოთა „ინტერესების შებღალვის“ დამოწმებით. ბრაზილიის დელეგატმა მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი დაუჭიროს კონტრრევოლუციურ ელემენტებს უნგრეთში. ერაყის დელეგატმა ჯაქალიმ თავისი სიტყვის მეტი ნაწილი მიუძღვნა მდგომარეობას შუა აღმოსავლეთში. მან განაცხადა, რომ ამ რაიონში კრიზისს უმთავრესად ის იწვევს, რომ არაბთა ქვეყნების ხალხებს ხელს უშლიან განახორციელონ მისწრაფება სრული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი, თავიანთი ტერიტორიის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფისადმი. ერაყის წარმომადგენელმა დაგმო საფრანგეთის, ინგლისისა და ისრაელის აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ. ინგლისმა და საფრანგეთმა, რომლებიც თავს დაესხნენ ეგვიპტეს, თქვა მან, დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ თავიანთი ჯარები ეგვიპტიდან. ამ ქვეყნებმა აშკარად უნდა განაცხადონ, რომ ისინი მხარს არ უჭერენ ისრაელის აგრესიულ მოქმედებას.

ამასთან ერთად ჯაქალიმ დაამახინჯა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკა და ფაქტიურად გაამართლა აგრესორთა მოქმედება ამაზე მსჯელობით, რომ ისინი თითქოს ისწრაფოდნენ ხელი შეეშალათ „კომუნისტური შეღწევისათვის“.

ერაყის წარმომადგენელმა მოითხოვა გაუქმდეს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმიანობის წესი. მან შეიტანა აგრეთვე მთელი რიგი წინადადებანი, რომელთა მიზანია წესდების ზოგიერთი სხვა დებულების გადასინჯვა.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ჰერბერტ ჰუვერ-უმცროსმა, რომელიც ახლა სახელმწიფო მდივნის მოვალეობას ასრულებს, ორ ყველაზე დიდმნიშვნელოვან პრობლემად დაასახელა ახლო აღმოსავლეთისა და უნგრეთის ამბები, მაგრამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ეგრეთწოდებულ საკითხს „უნგრეთის მდგომარეობის“ შესახებ.

ჰუვერმა მოითხოვა „უნგრეთის საკითხის“ განხილვის პრიორიტეტი, ცხადია იმისათვის, რომ ამ „საკითხის“ ხელოვნური გაზვიადებით მოხერხდება ასამბლეასა და მსოფლიოს საზოგადოებრიობის ყურადღების ჩამოშორება ეგვიპტეში ისრაელის, ინგლისისა და საფრანგეთის აგრესიულ მოქმედებისაგან.

ალაპარაკა რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობაზე, ჰუვერი მიესალმა ინგლისის, საფრანგეთისა და ისრაელის განცხადებას, რომ ისინი „მზად არიან ითანამშრომლონ“ გაერთიანებული ერების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. ჰუვერმა შეშფოთება გამოთქვა იმ ცნობებთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია მოხალისეთა ჩასვლა ახლო აღმოსავლეთში. ჰუვერს არ გამოუთქვამს ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულება ეგვიპტის ტერიტორიიდან აგრესორთა შეიარაღებული ძალების დაუყოვნებლივ გაყვანის მოთხოვნისადმი.

ჰუვერის სიტყვა მოწმობს ცდას საქმე ისე წარმოვკვიდგინონ, თითქოს ამჟამად მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ მივაღწიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესრულებას ეგვიპტიდან უცხოეთის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ, არამედ ის, რომ „დაინტერესებულ ქვეყნებთან კონსულტაციის გზით მომზადდეს სუეცის არხის ექსპლოატაციისა და მოვლის უზრუნველყოფის გეგმა“.

ჰუვერი მიესალმა ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს შექმნას და მას უწოდა წინგადადგმული დიდი ნაბიჯი.

შეეხო რა განიარაღების პრობლემას, ჰუვერი შეეცადა ბრალი განიარაღების საკითხში ჩიხისათვის დაეკისრებინა საბჭოთა კავშირისათვის და სრულიად უსაფუძვლოდ ბრალად დასდო მას, რომ არა სურს დაეთანხმოს „ინსპექციისა და კონტროლის ეფექტიან სისტემას“. ამით ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა ცხადყო, რომ შეერთებული შტატები ადგანან თავიანთ წინანდელ პოზიციას, რომელიც ხელს უშლის ყოველგვარ პროგრესს განიარაღებაში. დასასრულ ჰუვერმა თქვა:

„ჩვენ სერიოზულ დროს განვიცდით. ეს მოითხოვს, რომ ყველა ქვეყანამ გამოიჩინოს მაქსიმალური თავშეკავება და გონიერება. ეს მოითხოვს ახალ შემოქმედებითს მიდგომას სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის მიღწევის ძველი პრობლემებისადმი.

ჩვენი მიზანი უნდა იყოს ისეთი მშვიდობა, როცა ქვეყნები და ხალხები შეძლებენ იარსებონ ერთმანეთის. გვერდით მათი საშინაო პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სისტემების მიუხედავად, უშიშრად და თავიანთ მისწრაფებათა განხორციელების რეალური იმედით. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შეიძლება ფასდაუდებელი ინსტრუმენტი იქნეს ამ მიზნის მიღწევაში“.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს იმას, რომ ამერიკის დელეგატის ეს დეკლარაცია, რომელიც აღიარებს სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის საჭიროებას, არ ეთანხმება როგორც მისი დღევანდელი სიტყვის ბევრ თეზისს, ისე პოზიციას, რომელიც შეერთებულ შტატებს უკავიათ ბევრ დიდმნიშვნელოვან საკითხში.

ეკვადორის დელეგატმა ტრუხილიომ ილაპარაკა დასავლეთის სახელმწიფოთა კოლონიალისტური პოლიტიკის გასამართლებლად. ტრუხილიო დაეჭვებით მოითხოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვას და უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა ერთხმიანობის წესის გაუქმებას.

პორტუგალიის წარმომადგენელმა კუნიამაც წარმოთქვა ცუდად ნაფიქრალი სიტყვა დასავლეთის კოლონიალისტთა პოლიტიკის დასაცავად.

სხდომის ბოლოს ასამბლეის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ზოგიერთი დელეგაციის“ თხოვნით შეწყდება საერთო დისკუსია და 19 ნოემბრის პლენარულ სხდომაზე დაიწყება 84 საკითხის განხილვა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სპეციალურ სესიაზე იდგა, ე. ი. ეგრეთწოდებული „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხის განხილვა.

საერთო დისკუსია გაგრძელდება 20 ნოემბერს.

საღამი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულ სსრ კავშირის წარმომადგენლობაში

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ. ტ. შეპილოვმა სადილი გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესიაზე აღმანეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთისა და რუმინეთის დელეგაციების პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: ალბანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. შტიულა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნასი, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ლუკანოვი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ტარაბანოვი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დაიდი და ჩეხოსლოვაკიის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ი. ულრიხი, უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ხორვატი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ე. შიკი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოესკი, ელჩი ი. კაც-სუნი და პოლონეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ე. მიხალოვსკი, რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გ. პეტრეიასა და რუმინეთის დელეგაციის წევრი აკადემიკოსი ი. მაურერი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. თ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, გ. ნ. ზარუბინი, ა. ა. სობოლევი, ტ. ტ. ტაჟიბაევი, ს. ჰ. კოზირევი, ი. ს. ჩერნიშევი.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

უნგრეთის მთავრობის კომუნიკე

გუდაპეშტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთ „ნეპსაბადშაგში“ გამოქვეყნდა უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის შემდეგი ოფიციალური კომუნიკე:

უკანასკნელ დღეებში მტრული ელემენტები აწუხებენ საზოგადოებრიობას იმით, რომ ავრცელებენ სხვადასხვა პროვოკაციულ ხმებს, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს, ცდილობენ შექმნან პანიკა. კერძოდ, ისინი ავრცელებენ ხმებს იმის შესახებ, რომ უნგრეთში მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებანი, რომ უნგრეთიდან საბჭოთა კავშირში მიჰყავთ ახალგაზრდობა და სხვა პირები.

ამ ცრუ ხმებთან დაკავშირებით მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განუცხადოს მოსახლეობას შემდეგი:

მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა ამ დღეებში ვალდებულებას აკისრებს ხელისუფლებს მოძებნონ და უვნებელყონ კონტრრევოლუციონერები, ტერორისტები, წამქეზებლები საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, შეიარაღებული ბანდიტები, რომლებიც დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე მუშაობის ადგილებზე და მუქარითა და ტერორით ხელს უშლიან იმას, რომ მშრომელებმა დაიწყონ მუშაობა. ამგვარადვე ჩვენს ხელისუფლებს აქვთ ბრძანება უვნებელყონ ჯერ კიდევ მოთარეშე მძარცველები, ბანდიტები და სისხლის სამართლის სხვა დამნაშავეები, რომლებიც ხელს უშლიან კანონიერი წესრიგის აღდგენას უნგრეთში, ემუქრებიან საზოგადოებრივ წესრიგს, სიმშვიდესა და უშიშროებას.

ამ ამოცანის უფრო სწრაფი და სრული შესრულების ინტერესებისათვის ჩვენი ხელისუფლება და სამხედრო შენაერთები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ წესრიგის დაცვას, იძულებული არიან აწარმოონ დაპატიმრებანი.

პანიკური ხმები დაპატიმრებულების საბჭოთა კავშირში წაყვანის შესახებ პროვოკაციულია, მოჭორილია კონტრრევოლუციური წრეების მიერ, რომლებიც სულ უფრო უმწეო და უძლურნი ხდებიან. სინამდვილეში არც ერთი დაპატიმრებული პირი არ ყოფილა გაყვანილი უნგრეთის ტერიტორიიდან. ამ ცრუ პროვოკაციული ხმების მიზანია, ერთი მხრივ, გამოიწვიონ უნდობლობა მთავრობისადმი, დაარღვიონ მოსახლეობის სიმშვიდე და ხელი შეუშალონ წარმოებას და, მეორე მხრივ, ამრიგად შეეცადონ გააუარესონ ურთიერთდამოკიდებულება ბოსახლეობასა და საბჭოთა არმიის შენაერთებს შორის.

დაპატიმრებებთან დაკავშირებით შემდეგ უნდა ითქვას, რომ თვითეული დაპატიმრებული პირის მიმართ ცალკე წარმოებს გულმოდგინე გამოძიება. რამდენადაც ირკვევა, რომ ამ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, არ განუხორციელებია საზოგადოებისათვის საშიში საქმიანობა, მას მალე ათავისუფლებენ პატიმრობიდან.

გამოძიების მსვლელობაში რამდენადაც ირკვევა, რომ ამ პირმა ჩაიდინა დიდი დანაშაული, სჯიმის კანონიერი გარჩევის მიზნით იგი გადაეცემა უნგრეთის კომპეტენტურ პროკურატურას ან სასამართლოს.

მთავრობა მოუწოდებს მოსახლეობას არ დაუჯეროს პროვოკაციებს, ცრუ და პანიკური ხმებს, მათ გამავრცელებლებს. არამედ ენერგიულად იბრძოლოს მათ წინააღმდეგ, და, საჭიროების შემთხვევაში, მიმართოს ხელისუფლებს დახმარებისათვის.

უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობა

სურათზე: სსრ კავშირის XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ასპარეზობა რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში. ფოტო შ. გოქაძისა.

XXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალი

გუშინ თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში ჭადრაკის დაფებს მიუსხდა 9 წყვილი (იუხტმანის ავადმყოფობის გამო ერთი პარტია არ შემდგარა), დაიწყო საბჭოთა კავშირის XXIV საჭადრაკო პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრების პირველი ტური.

მონაწილეთა შემადგენლობაში ცვლილება მოხდა. ტურნირზე არ გამოცხადდა შიანოვსკი. მის მაგივრად ჩაირიცხა ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძე.

პირველად დამთავრდა პეტროსიანის პარტია ანტონინოვთან, მათ გაითამაშეს ძველი ინდური დაცვა. დაფაზე, როდესაც თითქმის ყველა ფიგურები იყო, ანტონინმა მოწინააღმდეგეს მე-17 სვლაზე ყაიმი შესთავაზა და პეტროსიანმაც მიიღო ეს წინადადება.

მეთექვსმეტე სვლაზე ყაიმით დამთავრდა საერთაშორისო გროსმაისტერის ვ. კორჩნოის პარტია საერთაშორისო ოსტატ ს. ფურმანთან. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ბუსლაევ — ვორონკოვის პარტია.

მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო ბ. გურგენიძის შეხვედრა ე. გუფილდთან. მოწინააღმდეგეებმა სიცილიურ დაცვაში როქი სხვადასხვა მხარეზე გააკეთეს. გუფილდმა პარტიის გართულების მიზნით შესწირა ორი პაიკი და გახსნა ხაზები თეორიების მეფის ფლანგზე. გურგენიძემ შეწირვა მიიღო. მალე ხარისხი მოიგო და მოწინააღმდეგის მეფე საშამათო ფსელში გაიბა. გუფილდი დანებდა.

საინტერესო იყო აგრეთვე საერთაშორისო ოსტატის ჰ. კასპარიანის პარტია კიეველ ოსტატ ი. სახაროვთან. გიმარჯვა კასპარიანმა.

დანარჩენი პარტიები გადადო.

დღეს გაიმართება მეორე ტური.

ქ. გოგიავა.

ტურნირი დნეპროპეტროვსკში

დნეპროპეტროვსკი, 19 ნოემბერი. (საქდესის სპეც. კორ.). ქალთა სრულიად საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა ნ. გაფრინდაშვილისა და ე. კაკაბაძის შეხვედრა. მცირეოდენი გართულებების შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ასეთივე შედეგით დამთავრდა ნ. კოლტი (მოსკოვი) — მ. ტოგონიძის პარტია.

საერთაშორისო ოსტატებმა ლ. ვოლპერტმა (ლენინგრადი), კ. ზვორიკინამ (მინსკი) მოუგეს ტ. კრიუკოვას (კიევი) და ნ. მატვეევას (მოსკოვი).

ხუთი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

მესამე ტურში ბრძოლა მეტად მწვავე იყო.